ჩემპიონატი

4:2 “დინამოს” სასარგებლოდ

(სტალინო, ელვა, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

11 ივლისს სტალინოში ჩატარებული მატჩი ფეხბურთში სსრკ პირველობაზე – **თბილისის “დინამოსა” და “სტახანოვეცს”** შორის დამთავრდა “დინამოს” გამარჯვებით ანგარიშით – 4:2.

შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ - 1:1. ბურთები გაიტანეს მ. ბერძენიშვილმა და კონონენკომ. მეორე ტაიმში დაშავებული გაგუას ადგილს იკავებს კიკნაძე. მე–20 წუთზე პაიჭაძე ადიდებს ანგარიშს, ხოლო 27-ე და 28-ე წუთზე ბერძენიშვილს (“პენალტი”) და ჯეჯელავას გააქვთ თითო ბურთი. ტაიმის უკანასკნელ წუთებში კონონენკო ათანაბრებს ერთ ბურთს. ამჟამად დინამოელებს 12 მატჩიდან აქვთ 13 ქულა.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 12 ივლისი, 1939 წ.